ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის

სხდომის ოქმი N4

6 მარტი, 2018 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

11:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

თ. ტალიაშვილი, გ. გოცირიძე, ნ. ვაჩეიშვილი, ე. კუხიანიძე, ლ. ძნელაძე, მ. დარჩია, ა. ლაშხი, ქ. ჯოხაძე.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

1. გიორგი ტყემალაძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
2. ი. ზარქუა - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე.

მოწვეული სტუმრები:

1. სოფიო ხუნწარია - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე;
2. ირაკლი გვილავა - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი;
3. მაკა ნასრაშვილი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალბატონი თამარ ტალიაშვილი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების“ დაფუძნების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსგან თანხმობის მიღების თაობაზე“ (12-03180607-03; 01.03.2018).

   მომხსენებელი: ქალბატონი სოფიო ხუნწარია

   თანამდებობა: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე.

2. **საკითხი:** ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე (12-03180531-03; 22.02.2018):

   ა) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამების „კულტურის ღონისძიებები“ (08.05), „შემოქმედებითი თბილისი“ (08.09) და „ინკლუზიური ხელოვნების ხელშეწყობა“ (08.13) განხორციელების წესები (12-03180531-03; 22.02.2018);

   ბ) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამების „პროფესიული და ზრდასრულთა განათლების განვითარების ხელშეწყობა“ (07.04) ქვეპროგრამების: „ინტელექტუალური, საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტების ხელშეწყობა“ (07.02.01), „უწყვეტი განათლების სისტემის განვითარების ხელშეწყობა“ (07.05.01), „სპორტული ღონისძიებები“ (08.06.01), „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა“ (08.08.01) განხორციელების წესი (12-03180531-03; 22.02.2018);

   გ) ქალაქ თბილისის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა (07.05.03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისებისა და სოციალური დაუცველი სტუდენტების დაფინანსების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 თებერვლის N3-11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის საკითხები (12-03180531-03; 22.02.2018).

   მომხსენებელი: ბატონი ირაკლი გვილავა

თანამდებობა: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი;

სხდომის თავმჯდომარე ქალბატონი თამარ ტალიაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარემ ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა წარმოადგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები - მერის მოადგილე ქალბატონი სოფიო ხუნწარია, მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი ბატონი ირაკლი გვილავა და მისი მოადგილე ქალბატონი მაკა ნასრაშვილი. დეპუტატმა მათ მადლობა გადაუხადა სხდომაში მონაწილეობისთვის.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით, ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა აღნიშნა, რომ განათლებისა და კულტურის კომისიის სხდომებზე ოთხი წლის განმავლობაში არაერთხელ გაჟღერებულა მუნიციპალური ბიბლიოთეკების მოდერნიზების აუცილებლობის შესახებ, მიმდინარე სხდომაზე კი, დეპუტატებს უკვე შესაძლებლობა ექნებოდათ, ემსჯელათ მოდერნიზების კონცეპტუალური ხედვის თაობაზე, რომელსაც მერის მოადგილე ქალბატონი სოფიო ხუნწარია წარმოადგენდა და მას სიტყვა გადასცა.

ქალბატონმა სოფიო ხუნწარიამ აღნიშნა, რომ ისაუბრებდა თბილისის ბიბლიოთეკებში არსებულ მდგომარეობაზე, საკითხზე, თუ რატომ გახდა საჭირო მათი მოდერნიზება, რა საფუძვლებია ამისათვის და მომავალში როგორი უნდა იყოს ბიბლიოთეკები. მისი თქმით, თბილისის ბიბლიოთეკების ნაწილი ჯერ კიდევ არის საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირები და მათ მრავალი წელია დედაქალაქის მერია აფინანსებს, რაც სამართლებრივად გაუმართლებელია, თუმცა, თბილისის მერია აქტიურად მუშაობს აღნიშნული საკითხის მოგვარებაზე. რაც შეეხება ბიბლიოთეკების ბიუჯეტსა და მათში დასაქმებულთა რაოდენობას, იგი შეადგენს 1 916 478 ლარს და დასაქმებულია 345 ადამიანი, მათგან 94 თანამშრომელი ნახევარ განაკვეთზეა, რომელთა ანაზღაურება დაახლოებით 125 ლარია, ხოლო სრულ განაკვეთზე დასაქმებულთა - დაახლოებით 375 ლარი. ბიბლიოთეკების

წიგნადი ფონდი შეადგენს 750 000 ერთეულს, თუმცა მათგან უმრავლესობა დაზიანებულია, რადგან ბიბლიოთეკებში არ არის წიგნებისათვის საჭირო კლიმატი. მისი თქმით, თანხების სიმცირის გამო, ვერ ხერხდება წიგნადი ფონდის შევსება. ქალბატონი სოფიოს განმარტებით, 2017 წლის სამი კვარტლის მონაცემებით, 47 497 ადამიანი გაწევრიანდა ბიბლიოთეკებში, თუმცა არ არსებობს ელექტრონული სისტემა, ჩანაწერები წარმოებს ჟურნალებში და ძნელია მკითხველთა რეალური ციფრის დადგენა და სანამ ბიბლიოთეკების ელექტრონული სისტემა არ გაიმართება მკითხველთა ზუსტი რაოდენობის დადგენა პრობლემად დარჩება. დასაქმებულთა ასაკობრივ სეგმენტთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ მხოლოდ 30 თანამშრომელია 30 წლამდე ასაკის. მისი თქმით, აღნიშნული მონაცემი მეტყველებს იმაზე, რომ საბიბლიოთეკო საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართულობა ძალიან დაბალია.

ინფრასტრუქტურულ საკითხებთან დაკავშირებით, ქალბატონი სოფიოს თქმით, მოცემული დროისთვის ორი ბიბლიოთეკა სრულად არის გარემონტებული, 4-ზე დაწყებულია სარემონტო სამუშაოები, დანარჩენი 34 ბიბლიოთეკა კი სავალალო მდგომარეობაშია. ქალბატონმა სოფიომ სხდომაზე მონაწილეებს წარუდგინა გარემონეტბული ტოვსტონოგოვის ქუჩაზე მდებარე ბიბლიოთეკის სურათები და აღნიშნა, რომ იგი სრულად არის გარემონტებული. მისი თქმით, გაურემონტებელ ბიბლიოთეკებში მკითხველს მერხთან უწევს წიგნის გამოყენება, რაც ახალგაზრდებისათვის მიმზიდველი არ არის, 30 ბიბლიოთეკაში კი, უბრალოდ წიგნის წაკითხვა შეუძლებელია.

ქალბატონი სოფიოს განმარტებით, მოცემული დროისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია 22 ბიბლიოთეკა, მედიათეკების გაერთიანების საკუთრებაში კი, სამი ფილიალია, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსით სარგებლობს ბიბლიოთეკების ორი ფილიალი. მან, ასევე აღნიშნა, რომ ერთ-ერთ ბიბლიოთეკას, რომელსაც ძველი მოხატულობა აქვს კედლებზე, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მოხსნილი აქვს წინა წლებში.

მანვე განმარტა, რომ თბილისში, შალვა დადიანის ქუჩაზე არსებული ბიბლიოთეკა დარჩება აღნიშნულ მისამართზე და გააგრძელებს ფუნქციონირებას. მისი თქმით, რამდენჯერმე გაჟღერდა, თითქოს ბიბლიოთეკები იყიდება, მათ შორის, დადიანის ქუჩაზე მდებარე ბიბლიოთეკაც, რასთან დაკავშირებითაც, მისი განმარტებით, ორმა ინვესტორმა ნამდვილად გამოხატა ინტერესი, თუმცა მერიამ უარი განაცხადა მათ გასხვისებაზე.

ქალბატონმა სოფიომ ასევე, დაამატა, რომ აღნიშნული ბიბლიოთეკის ნახევარი გაიყიდა წლების წინ და ამჟამად იქ აფთიაქია გახსნილი.

ქალბატონმა სოფიომ სისტემურად წარმოადგინა მუნიციპალურ ბიბლიოთეკებში არსებული პრობლემები, ესენია: ტრადიციული ბიბლიოთეკებისადმი საზოგადოების ინტერესის კლება, სტრატეგიისა და თანამედროვე ინფორმაციული სისტემების არქონა, რთული ინფრასტრუქტურული მდგომარეობა, სერვისების სიმწირე, მომსახურეობის დაბალი ხარისხი, სივრცეების არაეფექტიანი დატვირთვა, შემოსავლების სიმცირე.

სხდომის თავმჯდომარემ, ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა მადლობა გადაუხადა ქალბატონ სოფიო ხუნწარიას პრეზენტაციის წარმოდგენისთვის და დამსწრე დეპუტატებს სთხოვა, დაესვათ კითხვები მათთვის საინტერესო საკითხების თაობაზე. მან თავის მხრივ, აღნიშნა, რომ საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისია მიესალმება მუნიციპალური ბიბლიოთეკების მოდერნიზების დაწყებულ პროცესს, ვინაიდან 2014 წელს საკრებულოს დახვდა საბჭოური ბიბლიოთეკები დედაქალაქში, რომლებიც აბსოლუტურად შეუსაბამო იყო თანამედროვე გამოწვევებთან და ეს საკითხი არაერთხელ გაჟღერებულა კომისიის სხდომის ფორმატში.

სიტყვა გადაეცა საკრებულოს წევრს, ბატონ ირაკლი ზარქუას, რომელიც დაინტერესდა, თუ რომელ წელს გაიყიდა ბიბლიოთეკა, რომლის შენობაში დღეს აფთიაქი ფუნქციონირებს. რაზეც ქალბატონმა მაკა ნასრაშვილმა უპასუხა, რომ დადიანის ქუჩაზე მდებარე აღნიშნული შენობა 2009 წელს გასხვისდა.

ქალბატონი სოფიოს თქმით, ასევე, ფუნქციონირებას განაგრძობს ტოვსტონოგოვის ქუჩასა და მარჯანიშვილის გამზირზე მდებარე ბიბლიოთეკები. მან აღნიშნა, რომ თბილისის მერიას შემუშავებული აქვს გეგმა, თუ როგორ უნდა გამრავლდეს ბიბლიოთეკები დედაქალაქში სამი წლის ვადაში და არა დაიხუროს. საუბარია მულტიფუნქციურ-ახალგაზრდულ ცენტრებზე, რომელთა მშენებლობა, მისი თქმით, მიმდინარე წელს დაიწყება. მან ასევე, აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია მინი ბიბლიოთეკების განვითარებაც, რადგან გლდანი და ვარკეთილი, რომლებიც დიდი რაიონებია, საჭიროებენ რამდენიმე ბიბლიოთეკას. შესაბამისად, მერია ეცდება ამგვარ რაიონებში სხვადასხვა ადგილას შექმნას საბიბლიოთეკო სივრცეები.

ქალბატონმა სოფიომ ასევე, ყურადღება გაამახვილა ანაზღაურების საკითხზეც, და აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკებში, მოცემული მომენტისთვის, თანამშრომლები ფაქტობრივად ენთუზიაზმზე მუშაობენ, ვინაიდან მათი ანაზღაურება დაბალია. მისი თქმით, იგი ორჯერ შეხვდა თბილისის ბიბლიოთეკარებს და საქმის კურსში ჩააყენა, თუ რა პროცესები მიმდინარეობს, მათ შორის, ბიბლიოთეკარებისთვის დაგეგმილი გადამზადების საკითხზეც. ქალბატონი სოფიოს თქმით, საგამოცდო

საკითხები იქნება საქართველოს კანონიდან ,,საბიბლიოთეკო საქმის შესახებ'' და ყველა თანამშრომელი, რომელიც გადალახავს ტესტირებას, გააგრძელებს მუშაობასა და შემდგომ გადამზადების პროცესს კვალიფიცური ბიბლიოთეკარების მიღების მიზნით.

ქალბატონი სოფიოს განმარტებით, მოქმედი კანონმდებლობა არ ზღუდავდა თბილისის მერიას, პირდაპირ, ტესტირების გარეშე, აეყვანა ახალი თანამშრომლები, თუმცა, მათ აირჩიეს სხვა გზა და არსებული თანამშრომლების ხელფასების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად ძველი ბიბლიოთეკების (სსიპ-ების) ლიკვიდაციის პროცესი მხოლოდ ბიბლიოთეკარების ტესტირებისა და დასაქმების შემდეგ დაიწყება.

ქალბატონმა სოფიომ, ასევე აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკები დღემდე უხუცესმა ბიბლიოთეკარებმა შეინარჩუნეს და ისინი ყველაზე გაგებით მოეკიდნენ ბიბლიოთეკების განვითარების მიმდინარე პროცესს და სწორედ, მათ აღნიშნეს, რომ აღნიშნული პროცესი სწორად მიმდინარეობს. ქალბატონმა სოფიომ, ასევე, ხაზგასმით აღნიშნა, რომ ხანდაზმულ ბიბლიოთეკარებს შეიძლება არ ჰქონდეთ ტესტირებაზე გასვლის სურვილი, თუმცა, ისინი მაინც შეინარჩუნებენ სამუშაო ადგილს. მისი თქმით, ბიბლიოთეკებში უნდა დაწესდეს წიგნის საპატიო მცველის შტატი, რომელზეც უხუცესი ბიბლიოთეკარები იმუშავებენ.

მერის მოადგილის თქმით, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა დიდ მხარდაჭერას უწევს თბილისის ბიბლიოთეკებს და აქტიურადაა ჩართული მოდერნიზების პროცესში. თანამშრომლობის ფარგლებში, ეროვნული ბიბლიოთეკა უსასყიდლოდ შექმნის ელექტრონულ სისტემას მუნიციპალური ბიბლიოთეკებისთვის და ასევე, დაეხმარება წიგნადი ფონდის შეფასებაში.

ქალბატონმა სოფიომ ასევე, აღნიშნა, რომ აღნიშნული რეორგანიზაცია-რესტრუქტურიზაციის შედეგად თანამედროვე სტანდარტების საბიბლიოთეკო სივრცე ქალაქის ყველა რაიონში იქნება, რითაც შეიქმნება კულტურული სივრცეები, გაიზრდება ბიბლიოთეკების ხელმისაწვდომობა და მისით დაინტერესება.

სიტყვა გადაეცა ბატონ ირაკლი ზარქუას. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პრეზენტაციით ნათლად ჩანს, თუ საით მიდის ბიბლიოთეკების განვითარება. აქედან გამომდინარე, მისთვის გაურკვეველია, თუ რატომ უჩნდება საკრებულოს ზოგიერთ წევრს შეხედულება, რომ ბიბლიოთეკები იყიდება.

ქალბატონმა სოფიო ხუნწარიამ გამოთქვა სურვილი, ბიბლიოთეკების საკითხი არ გადატანილიყო პოლიტიკურ კონტექსტში, ვინაიდან ბიბლიოთეკები ის

საკითხია, რომელიც ოპოზიციისათვის და პოზიციისთვის ერთნაირად მნიშვნელოვანი უნდა იყოს. მისი თქმით, იგი შეხვდა საზოგადოების არაერთ ჯგუფს, მწერლებს, გამომცებლებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს და მათ დეტალურად გააცნო ბიბლიოთეკების განვითარების პროცესი.

ბატონი ნიკოლოზ ვაჩეიშვილი დაინტერესდა, თუ როგორაა ასახული ბიბლიოთეკების განვითარება დედაქალაქის ბიუჯეტში და არის თუ არა, თანხების მატება ამ მიმართულებით. ასევე, გაზრდილია, თუ არა, ბიბლიოთეკებისთვის გამოყოფილი თანხა 2018 წლის ბიუჯეტში წინა წლის ბიუჯეტთან შედარებით. მანვე აღნიშნა, რომ წარმოდგენილ პრეზენტაციაში მითითებულია სასურველი შედეგები, მაგრამ არ არის აღწერილი განხორციელების ეტაპები.

პასუხად, ქალბატონმა სოფიომ განმარტა, რომ ბიუჯეტის ოდენობა უცვლელია, მაგრამ იგეგმება მისი ზრდა და დიდი თანხები გაიხარჯება ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, რომელიც მიმდინარე წელს მომზადდება, თუმცა, ამ პროექტირების დაწყებისთვის აუცილებელია, რომ შენობები, რომლებიც საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ბალანსზეა, გადმოვიდეს მუნიციპალურ ბალანსზე. ასევე, აღნიშნა, რომ პროექტები კონკურსის წესით განხორციელდება, რათა პროცესი ღია და საჯარო იყოს.

დეპუტატმა ირაკლი ზარქუამ დაამატა, რომ არსებული ინფორმაციით, თბილისის მერია ქმნის საბიბლიოთეკო სივრცეებს მულტიფუქნციურ კომპლექსებში. აღნიშნული მერის მოადგილემ სოფიო ხუნწარიამ დაადასტურა და განმარტა, რომ ხსენებული კომპლექსის მშენებლობის პროექტზე თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი ბატონი ირაკლი გვილავა მუშაობს.

ბატონი ნიკოლოზ ვაჩეიშვილი დაინტერესდა, თუ რა შემოსავლები ექნებათ თბილისის ბიბლიოთეკებს, რაზეც ქალბატონმა სოფიო ხუნწარიამ განმარტა, რომ შესაძლებელია ბიბლიოთეკებში მოეწყოს მაღაზიები წიგნებისა და სუვენირების გასაყიდად, რაც მათი შემოსავლის წყარო გახდება. მისი თქმით, ბიბლიოთეკების ზოგი სერვისი უფასო, ხოლო ზოგიერთი, მაგალითად, მკითხველთა სამუშაო სივრცეები, ფასიანი იქნება.

ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა აღნიშნა, რომ ყველა მნიშვნელოვან პროცესს, თან ახლავს ვნებათაღელვა და მაგალითად, თბილისის მუზეუმების მოდერნიზების პროცესი მოიყვანა, რომლის შედეგად, რამდენიმე თვის წინ თბილისის მერიისა და საკრებულოს წევრებმა იხილეს ნიკოლოზ ბარათაშვილის განახლებული მემორიალური სახლ-მუზეუმი თბილისში, რომელიც სწორედ

რეფორმების გაგრძელების შედეგად, თბილისს ექნება წარმატებული და თანამედროვე ბიბლიოთეკები.

საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი გიორგი ტყემალაძე, დაინტერესდა წინა ხელისუფლების პირობებში გასხვისებული ბიბლიოთეკების რაოდენობით, რასთან დაკავშირებითაც, ქალბატონმა მაკა ნასრაშვილმა განმარტა, რომ 2002 წელს თბილისში იყო 68 ბიბლიოთეკა, 2015 წელს კი - 36 ბიბლიოთეკა.

ბატონმა გიორგი ტყემალაძემ თხოვნით მიმართა მერიის წარმომადგენლებს, მიეწოდებინათ ინფორმაცია წლების განმავლობაში გასხვისებულ ბიბლიოთეკებთან დაკავშირებით. მან ასევე, მადლობა გადაუხადა ბატონ ნიკოლოზ ვაჩეიშვილს, საკრებულოს კომისიების სხდომებში მონაწილეობისა და კონსტრუქციული მუშაობისთვის, მაშინ როდესაც, მისი თქმით, ოპოზიციის ერთ-ერთი წარმომადგენელი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით აცხადებს, რომ თბილისის მერია აპირებს თბილისის ბიბლიოთეკების გაყიდვას. საკრებულოს თავმჯდომარემ აგრეთვე დაამატა, რომ ბიბლიოთეკების თემა არ საჭიროებს პოლიტიზებას, ვინაიდან საკითხი წიგნიერებას ეხება.

ქალბატონმა სოფიო ხუნწარიამ აღნიშნა, რომ პროცესის დასაწყისშივე მოეწყო შეხვედრა ბიბლიოთეკარებთან და პირადად წარუდგინა მათ ხედვები და ინფორმაცია დაგეგმილ პროცესთან დაკავშირებით, თუმცა, ამის მიუხედავად, დაიწყო გაუგებარი ბრალდებები ბიბლიოთეკების გაყიდვის თემაზე. მისი თქმით, გაჟღერდა ინფორმაცია, თითქოს მერია აპირებდა კრწანისის რაიონში მდებარე ბიბლიოთეკის დახურვას, მაშინ, როდესაც აღნიშნული ბიბლიოთეკა ტერიტორიულად გადავიდა ფონიჭალაში მდებარე ახალგაზრდულ ცენტრში, ხოლო კრწანისში აღნიშნული ბიბლიოთეკის ყოფილ შენობაში კეთდება მუნიციპალური სერვისების ცენტრი, თუმცა რჩება პრესის კუთხე, რითაც გათვალისწინებული იქნება ასაკოვანი მკითხველის ინტერესები.

ქალბატონი სოფიოს თქმით, მას ჰქონდა კომუნიკაცია წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის მოძღვართან, მამა ბესარიონთან, 300 არაგველის სკვერში მინი ბიბლიოთეკის განთავსების საკითხთან დაკავშირებით.

ქალბატონმა მაკა ნასრაშვილმა დაამატა, რომ 1980-იანი წლების შემდეგ არ ჩატარებულა წიგნადი ფონდის აღწერა თბილისის ბიბლიოთეკებში, ეს პროცესი მერიამ 2015 წელს დაიწყო, რის შედეგადაც გამოვლინდა, რომ 3.5 მილიონი წიგნიდან, ვარგისია დაახლებით 700 000 ცალი წიგნი. მისი თქმით, 2016 წელს ჩატარდა პირველი ინვენტარიზაცია მოძრავ ქონებაზე, ამავე წელს გაკეთდა ელექტრონული კატალოგი, რომელიც მანამდე არ არსებობდა. ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა დაადასტურა, რომ მერიამ დიდი ძალისხმევა გაწია საკრებულოს

განათლებისა და კულტურის კომისიის მიერ გაცხადებული ბიბლიოთეკების მოდერნიზების პოლიტიკის გატარების მიზნით.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:

სოფიო ხუნწარიამ, თამარ ტალიაშვილმა, ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა, ირაკლი ზარქუამ, გიორგი ტყემალაძემ, მაკა ნასრაშვილმა.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების“ დაფუძნების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსგან თანხმობის მიცემის თაობაზე“ ქ. თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტის დადებითად შეფასებისა და მისი საკრებულოსთვის განსახილველად გადაგზავნის შესახებ.

მომხრე ---------- **7**
წინააღმდეგი ---------- **1** (კომისიის წევრი, ბატონი ნიკოლოზ ვაჩეიშვილი)
თავი შეიკავა ---------- **0**

კომისიის სხდომაზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელთა მოსმენის, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის განხილვისა და მსჯელობის შედეგად, განათლებისა და კულტურის კომისიამ ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტა, რომ:

კომისია დადებითად აფასებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების“ დაფუძნების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ” ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს, არ აქვს არსებითი შენიშვნები და რეკომენდაციები აღნიშნული საკითხის მიმართ და მხარს უჭერს მის გადაცემას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ, ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა, დეპუტატების მხრიდან „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების“ დაფუძნების თაობაზე კითხვების ამოწურვის შემდეგ, მათ მადლობა გადაუხადა ჩართულობისათვის, ასევე, მერიის წარმომადგენლებს ამომწურავი ინფორმაციისთვის.

3. ამის შემდეგ, ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა სიტყვა გადასცა ბატონ ირაკლი გვილავას და სთხოვა წარმოედგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი.

საკითხის შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ, კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ განათლებისა და კულტურის კომისიას აქვს რამდენიმე შენიშვნა წარმოდგენილ წესთან დაკავშირებით, რომელთა გათვალისწინებაც მიზანშეწონილი იქნება აღნიშნული საკითხის მხარდაჭერის შემთხვევაში. კერძოდ, საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" თანახმად, ქ. თბილისის მთავრობის მიერ შექმნილი კომისია წარმოადგენს მთავრობის საკონსულტაციო ორგანოს, რომელიც უფლებამოსილია მოამზადოს დასკვნები და რეკომენდაციები, კერძოდ:

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 75-ე მუხლის ,,ა" პუნქტის ,,ა.დ" ქვეპუნქტის თანახმად, მთავრობა ,,მისი უფლებამოსილებისთვის მიკუთვნებული ცალკეული საკითხების შესასწავლად, შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მოსამზადებლად ქმნის კომისიებს, საბჭოებსა და სხვა საკონსულტაციო ორგანოებს."

აღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ შექმნილი კომისია და შესაბამისად, დადგენილების დანართებით გათვალისწინებული კომისიები, ვერ იქნებიან პროექტის დაფინანსების თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტები, თუნდაც, საპროექტო განაცხადით მოთხოვნილი თანხა არ აღემატებოდეს 20 000 ლარს.

აღნიშნული კომისიები უფლებამოსილნი არიან მოამზადონ დასკვნები ან რეკომენდაციები პროექტის დაფინანსების თაობაზე, თუმცა, საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს ქ. თბილისის მერიის შესაბამისი თანამდებობის პირის ან თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ.

აღსანიშნავია, რომ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი დადგენილება ითვალისწინებს პროცედურას, რომლის თანახმადაც, საბოლოო გადაწყვეტილებას, იმ საპროექტო განაცხადების დაფინანსების შესახებ, რომლითაც მოთხოვნილი დაფინანსება 20 000 ლარს არ აღემატება, იღებს სამსახურის უფროსი.

კომისიის წევრებმა მიუთითეს, რომ ასეთი პროცედურა შენარჩუნებულ უნდა იქნას განსახილველი დადგენილების შემთხვევაშიც. შესაბამისად, წარმოდგენილი

დადგენილების დანართი 1-ის მე-4 მუხლის მე-6, მე-7 და მე-12 პუნქტები და მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბებული უნდა იქნეს ახალი რედაქციით.

ამავე მოსაზრებით, ახალი რედაქციით უნდა ჩამოყალიბდეს დანართი 2-ით დასამტკიცებელი წესის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი და მითითებული უნდა იქნეს, რომ ამ შემთხვევაში, საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს სამსახურის უფროსი.

კომისიის წევრებმა, ასევე შენიშვნა გამოთქვეს განსახილველი დადგენილების დანართი 2-ის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის მიმართ, რომელიც ადგენს, რომ:

,,ამ წესით განსაზღვრული დაფინანსების მიმღები სუბიექტები არიან საჯარო სამართლის იურიდიული პირის ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმით დაფუძნებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ან/და მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები, საინიციატივო ჯგუფები, სპორტული ფედერაციები, სპორტული კლუბები, სპორტული და ახალგაზრდული ცენტრები, ახალგაზრდული ორგანიზაციები, სტუდენტური თვითმმართველობები, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები.''

კომისიის წევრებმა მიიჩნიეს, რომ აღნიშნული პუნქტი, სამართლებრივი თვალსაზრისით, გამართვას საჭიროებს და ასევე, დაფინანსების მიმღებ შესაძლო სუბიექტებს უნდა დაემატოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები. შესაბამისად, უმჯობესია, აღნიშნული მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ამ წესით განსაზღვრული დაფინანსების მიმღები სუბიექტები შეიძლება იყვნენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ან/და მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირები ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები, მათ შორის, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, სპორტული ფედერაციები, სპორტული კლუბები, სპორტული და ახალგაზრდული ცენტრები, ახალგაზრდული ორგანიზაციები, სტუდენტური თვითმმართველობები, უმაღლესი საგანმანათლებლო, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები.''

კომისიის წევრებმა, ასევე აღნიშნეს, რომ განსახილველი დადგენილების დანართი 2-ის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტი შინაარსობრივად ბუნდოვანი და სამართლებრივად გაუმართავია. კომისიის წევრებმა რეკომენდაცია გაუწიეს აღნიშნული პუნქტის შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბებას:

,,საპროექტო განაცხადის ფორმა არ ივსება ისეთ შემთხვევებში, როდესაც მოთხოვნილია ევროპის, მსოფლიო და ოლიმპიურ ჩემპიონატებში პრიზიორების დაჯილდოებისათვის ან/და სპორტული ფედერაციების სპორტული ინვენტარით უზრუნველსაყოფად ან/და გუნდების ეკიპირებისათვის საჭირო დაფინანსება.''

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები კომისიის აღნიშნულ შენიშვნებს დაეთანხმნენ.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის დადებითად შეფასებისა და მისი საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გადაგზავნის შესახებ

მომხრე ---------- 7
წინააღმდეგი ---------- 0
თავი შეიკავა ---------- 1 (კომისიის წევრი, ბატონი ნიკოლოზ ვაჩეიშვილი)

განათლებისა და კულტურის კომისიამ წარმოდგენილი დადგენილების პროექტისა და მისი დანართების განხილვის, საკითხის თაობაზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელთა მოსმენის და მსჯელობის შედეგად, ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტა, რომ კომისია დადებითად აფასებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს და მხარს უჭერს მის გატანას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად შემდეგი დათქმებით:

ა) წარმოდგენილი დადგენილების პროექტის დანართი 1-ით დასამტკიცებელი წესის მე-4 მუხლში უნდა განხორციელდეს ცვლილება და აღნიშნული მუხლის მე-6, მე-7 და 12-ე პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. თუ მოთხოვნილი თანხა არ აღემატება 20 000 (ოცი ათას) ლარს, საპროექტო განაცხადის დადებითად შეფასების შემთხვევაში, კომისია საპროექტო განაცხადის დაფინანსების (თანხის ოდენობის მითითებით) შესახებ რეკომენდაციით მიმართავს სამსახურის უფროსს.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საპროექტო განაცხადის დაფინანსების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს სამსახურის უფროსი.

12. მიღებული დასაბუთებული გადაწყვეტილება წერილობით ეცნობება განმცხადებელს.“

ბ) წარმოდგენილი დადგენილების პროექტის დანართი 1-ით დასამტკიცებელი წესის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების დადების საფუძველია სამსახურის უფროსის/ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება.“

გ) წარმოდგენილი დადგენილების დანართი 2-ის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ამ წესით განსაზღვრული დაფინანსების მიმღები სუბიექტები შეიძლება იყვნენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ან/და მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირები ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები, მათ შორის, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, სპორტული ფედერაციები, სპორტული კლუბები, სპორტული და ახალგაზრდული ცენტრები, ახალგაზრდული ორგანიზაციები, სტუდენტური თვითმმართველობები, უმაღლესი საგანმანათლებლო, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები.''

დ) განსახილველი დადგენილების დანართი 2-ის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,საპროექტო განაცხადის ფორმა არ ივსება ისეთ შემთხვევებში, როდესაც მოთხოვნილია ევროპის, მსოფლიო და ოლიმპიურ ჩემპიონატებში პრიზიორების დაჯილდოებისათვის ან/და სპორტული ფედერაციების სპორტული ინვენტარით უზრუნველსაყოფად ან/და გუნდების ეკიპირებისათვის საჭირო დაფინანსება.''

ე) წარმოდგენილი დადგენილების პროექტის დანართი 2-ით დასამტკიცებელი წესის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. თუ მოთხოვნილი თანხა არ აღემატება 20 000 (ოცი ათას) ლარს, საპროექტო განაცხადის დადებითად შეფასების შემთხვევაში საბოლოო გადაწყვეტილებას დაფინანსების თაობაზე იღებს სამსახურის უფროსი.“

დღის წესრიგის მეორე საკითხის ქვე-საკითხად წარმოდგენილ - ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისებისა და სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 თებერვლის N3-11

დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ქ. თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, რომ **განსახილველი დადგენილების პროექტის მე-2 მუხლში დადგენილების ამოქმედების თარიღად მითითებულია 22 თებერვალი.**

მანვე აღნიშნა, რომ დადგენილების ამოქმედების თარიღად წარსული დროის მითითება ეწინააღმდეგება ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონს და აღნიშნული ტექნიკური ხარვეზი უნდა გასწორდეს. კერძოდ:

აღნიშნული კანონის 22-ე მუხლის (ნორმატიული აქტის მოქმედება დროში) პირველი პუნქტის თანახმად, ნორმატიული აქტი, რომლის ძალაში შესვლაც დაკავშირებულია გამოქვეყნებასთან, ძალაში შედის მხოლოდ ამ კანონით დადგენილი წესით ოფიციალურად გამოქვეყნების შემდეგ.

ამავე კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: ,,თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, საქართველოს კანონქვემდებარე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ნორმატიული აქტები ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე, თუ თვით ამ ნორმატიული აქტებით სხვა ვადა არ არის დადგენილი.''

ამავე კანონის 27-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ნორმატიული აქტი „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს" გამოსაქვეყნებლად უნდა გაეგზავნოს მისი მიღებიდან არაუგვიანეს მეორე დღისა.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიის წევრებმა მიუთითეს, რომ განსახილველი დადგენილების პროექტი უნდა ამოქმედდეს მისი გამოქვეყნების შემდეგ.

ქ. თბილისის მერიის წარმომადგენლებმა კომისიის წევრებს განუმარტეს, რომ დადგენილების მე-2 მუხლის აღნიშნული სახით ფორმულირების მოტივაცია იყო ის, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური შექმნილია 2018 წლის 22 თებერვლიდან და შესაბამისად, დადგენილების პროექტის მოქმედება უნდა გავრცელდეს 22 თებერვლიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე. თუმცა, ისინი ამავე დროს, დაეთანხმნენ კომისიის წევრების მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ აღნიშნული მუხლი შეიცავს ტექნიკურ ხარვეზს და მისი ,,ნორმატიული აქტების შესახებ'' კანონთან შესაბამისობაში მოსაყვანად, აუცილებელია მისი ახლებური ფორმულირება.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი - ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სოციალურად

დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისებისა და სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 თებერვლის N3-11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე'' ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის დადებითად შეფასებისა და მისი საკრებულოსთვის განსახილველად გადაცემის შესახებ.

მომხრე ---------- 7
წინააღმდეგი ---------- 0
თავი შეიკავა ---------- 1 (კომისიის წევრი, ბატონი ნიკოლოზ ვაჩეიშვილი)

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისებისა და სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 თებერვლის N3-11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე'' ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის, საკითხთან დაკავშირებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელთა მოსმენისა და მსჯელობის შედეგად, განათლებისა და კულტურის კომისიამ ხმათა უმრავლესობით დაადგინა, რომ:

კომისია დადებითად აფასებს აღნიშნული დადგენილების პროექტს და მხარს უჭერს მის განხილვას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განხილვას შემდეგი დათქმით:

დადგენილების პროექტის მე-3 მუხლში საჭიროა შესწორებულ იქნას ტექნიკური ხასიათის ხარვეზი და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანვე. მისი მოქმედება გავრცელდეს 2018 წლის 22 თებერვლიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.“

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:
თამარ ტალიაშვილი ----------